ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 28-1.

(კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურებები)

ქ. თბილისი 03 სექტემბერი 2012 წ.

ქალაქ თბილისის N84 საჯარო სკოლა, (შემდგომში ,,დამკვეთი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა ბაციკაძის სახით ერთის მხრივ და საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების მართვის საინფორმაციო სიტემა (შემდგომში ,,შემსრულებელი"), წარმოდგენილი ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ლევან ტურაშვილის სახით მეორეს მხრივ, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მესამე პუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 იანვრის №19/ნ ბრძანების პირველი მუხლის 1.9 პუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი
წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა (CPV: 72500000).

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი
1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 1520 (ათასხუთასოცი) ლარს.
2. ხელშეკრულებით განსაზღვრული კომპიუტერთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის ღირებულება თვეში შეადგენს 380 (სამასოთხმოცი) ლარს.
3. მომსახურების გაწევა დასტურდება შემსრულებლის მიერ დამკვეთისათვის წარდგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.
4. დამკვეთი ვალდებულია შემსრულებელს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება გადაუხადოს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ყოველი საანგარიშო თვის 28 რიცხვამდე, შემსრულებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

მუხლი 3. ხელშეკრულების მოქმედება
წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 03 სექტემბრიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები
<u>1. დამკვეთი ვალდებულია:</u>
1.1. შეუქმნას სამუშაო პირობები შემსრულებელს და მისი მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ყველა საჭირო დოკუმენტაცია და ინფორმაცია;
1.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დაცვით აანაზღაუროს გაწეული მომსახურების ღირებულება.
<u>2. შემსრულებელი ვალდებულია:</u>
2.1. დაწესებულების ლოკალური/გლობალური კომპიუტერული ქსელის გამართვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა, შესაბამის ინციდენტებზე რეაგირება და შემდგომი მონიტორინგი;
2.2. დაწესებულების კომპიუტერული ტექნიკის დიაგნოსტიკა/მხარდაჭერა (ოპერაციული სისტემისა და სხვა საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალირება, პრობლემების იდენტიფიცერება და აღმოფხვრა, პერიფერიული აპარატურის კომპიუტერებთან მიერთება და გამართვა, სისტემის ბეკაპირება და აღდგენა);
2.3. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულების ადმინისტრაციისათვის კონსულტაციის გაწევა ტექნიკის (კომპიუტერის სათადარიგო/სახარჯო ნაწილების, პერიფერიული მოწყობილობების და სხვ.) შესყიდვასთან დაკავშირებით.
<u>3. დამკვეთი უფლებამოსილია:</u>
მოითხოვოს შემსრულებლისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ხარისხიანი შესრულება.
<u>4. შემსრულებელი უფლებამოსილია:</u>
მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული შესრულება.

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა